



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



N 13  
31/03/2017

13-04-4-201703311750



**ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში  
განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“  
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით  
დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის  
მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის  
შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში,  
თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

**ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში**

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული იქნა, „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების მე-4 მუხლის და „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული და რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად. შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდებოდა პერიოდულად, ადგილობრივ ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესაბამისად, რის შედეგადაც ქედის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ საბოლოოდ შეადგინა 5 298 648 ლარი.

ბოლო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებული იქნა მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები, კერძოდ: მეთოდური მითითებები წინამოსამზადებელი ეტაპის, შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვის, საამშენებლო პროექტების შედგენის, მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის და რეკომენდაციები ანგარიშსწორების ვადებისა და პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის თაობაზე.

აღნიშნული მეთოდოლოგიის და რეკომენდაციების საფუძველზე შესყიდვების განყოფილების და სატენდერო კომისიის მიერ დაიხვეწა შესყიდვების განხორციელებისათვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისა და შესყიდვების განხორციელების მეთოდოლოგია, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმვა, დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება, მიწოდების ბაზრის კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება, აღნიშნული ტექნიკური პირობების მომზადებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა სამსახური თავიანთი დარგობრივი ფუნქციების შესაბამისად.

2016 წლის განმავლობაში სულ 240 ხელშეკრულება იქნა გაფორმებული, აქედან ტენდერებით 152, ხოლო გამარტივებული შესყიდვით 88 ხელშეკრულება. ჯამურად სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 5 093 356 ლარი. მათ შორის ტენდერებით 4 693 306 ლარი, გამარტივებული შესყიდვით 400 257 ლარი. ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა ორ შემთხვევაში ერთ და იგივე მიმწოდებელთან, რომელმაც ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და მის მიმართ გავრცელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. დარჩენილი ვალდებულებების შესასრულებლად ტენდერი ხელმეორედ იქნა გამოცხადებული.

2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებულ იქნა 188 ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. აქედან პრეტენდენტთა არ მონაწილეობის გამო არ შედგა 21 ტენდერი. არ შემდგარი ტენდერებით გათვალისწინებული შესყიდვების განსახორციელებლად განმეორებით იქნა გამოცხადებული ტენდერები, შესაბამისად შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა სრულყოფილად იქნა განხორციელებული. ჩატარებული ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ 4 939 860 ლარი, ხოლო, სახელშეკრულებო ღირებულებამ 4 693 306 ლარი შეადგინა, შესაბამისად, 2016 წლის განმავლობაში ტენდერების საშუალებით დაზოგილ იქნა 246 554 ლარი.

განხორციელებული ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების ძირითადი ნაწილი მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, როგორცაა:

სოფლების ჯალაბაშვილების და ხარაულის სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობა - 848 000 ლარი;

სოფლების ხუნკუდის, გულეების და ზესოფლისთვის სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობა - 5 499 999 ლარი,

ოქტომბრის ბაგა-ბალის მშენებლობა 290771-ლარი;

700000 ლარის სამუშაოები შესრულდა სტიქიით დაზიანებულ ობიექტებზე მეწყერ საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად, შეკეთდა მინი სპორტული მოედნები, ამბულატორიები, აშენდა საზოგადოებრივი ტუალეტები და სხვა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით შესყიდვები განხორციელდა:

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველსაყოფად სახელშეკრულებო ღირებულებით 18999 ლარზე, რითაც ისარგებლა 26-მა ბენეფიციარმა.

ეპილექსიით დაავადებულთათვის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 19790 ლარი.

შეჭირვებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნით შესყიდული იქნა 40000 ლარის ღირებულების სახურავის თუნუქი.

გამარტივებული შესყიდვით, განხორციელებული შესყიდვებიდან მონეტარული ზღვრების დაცვით გაფორმდა - 72, კონსოლიდირებული ტენდერებში გამარჯვებულ მიმწოდებლებთან - 10, გადაუდებელი აუცილებლობით - 4, ექსკლუზიური უფლებამოსილებით - 2.

შესყიდვების სააგენტოს თანხმობით, გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა: სოფელ ქვედა მახუნცეთში სტიქიით დაზიანებული საავტომობილო გზის აღდგენისათვის გაბიონის მშენებლობა - 5742 ლარი; სოფ ახოში მეწყერის შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის მაგისტრალის აღდგენა - 4961 ლარი; 2016 წლის 28 ივნისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული, სოფელ ნამონასტრევის საავტომობილო ხიდის, საცალფეხო ხიდის და ხიდებთან მისასვლელი გზის აღდგენა - 92341 ლარი; ყოფილი კოოპერაციის ადმინისტრაციული შენობის რემონტი - ლარი 55037 ლარი;

ექსკლუზიური უფლებამოსილების შესყიდვით განხორციელდა - ადმინისტრაციული შენობის დაცვა - 69 600 ლარი და „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონი 2016-2017“-ის ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტში - 2960 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებაზე გათვალისწინებული 596 828 ლარიდან, ძირითადი თანხა, სულ 534 807 ლარი მიმართული იქნა სასოფლო გზებზე ბეტონის საფარის დაგებისათვის.

სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯა 41 776 ლარი, შეძენილი იქნა 19 000 ლარის სარიტუალო ინვენტარი და სასმელი წყლის მილები. „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების შესაბამისად, ხდება შესყიდვებთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადება და სააგენტოსათვის წარდგენა. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ დასახვეწია ზოგიერთი ანგარიშის, როგორცაა მიღება-ჩაბარების აქტების ვადების დაცვით მომზადების და ერთიანი ელექტრონული სისტემაში დროულად წარდგენის საკითხი. შესყიდვების განხორციელებაში კვლავაც მთავარ პრობლემად რჩება სახელმწიფო შესყიდვებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების სეზონურად გადანაწილების საკითხი, წლის ბოლო პერიოდში განხორციელებული შესყიდვები, განსაკუთრებით სამუშაოები გამომდინარე კლიმატური პირობებიდან რისკის ქვეშ აყენებს ვადებში მის შესრულებას, რის გამოც იზრდება არშემდგარი ტენდერების რაოდენობა. რაც გასათვალისწინებელი მომდევნო წლებისათვის.